

მონოლინგვური და მულტილინგვური პოლიტიკა ინგლისურენოვანი  
სამყაროს შიდა წრის ქვეყნებში

ქეთევან სხილაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფოლოლოგია, რომანული  
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო მარსაგიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან სხილაძე

20.06.2018

## აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება მონოლინგვური და მულტილინგვური პოლიტიკის საკითხების კვლევას ინგლისურენოვანი სამყაროს შიდა წრის ქვეყნებში, რომელშიც ინდოელი ენათმეცნიერის – ბ კაჩრუს კლასიფიკაციის მიხედვით, იგულისხმება ის ქვეყნები, სადაც ინგლისური უმრავლესობის მშობლიური ენაა (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, კანადა, აშშ, ავსტრალია და ახალი ზელანდია).

წინამდებარე ნაშრომი დესკრიფციული ხასიათისაა და მასში შიდა წრის ქვეყნების ენობრივი მრავალფეროვნება განხილულია როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ პლანში. სამაგისტრო ნაშრომი ეყრდნობა თანამედროვე სოციოლინგვისტურ თეორიებსა და სტატისტიკური მონაცემებს.

ნაშრომის ძირითადი მიზანია გვაჩვენოს, რომ XXI საუკუნეში აღარ არსებობს მითი მონოლინგვიზმის შესახებ და რომ მთელმა რიგმა ისტორიულმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა მულტილინგვიზმი დღეს ცხოვრების ჩვეულ ფორმად აქცია.

ნაშრომი ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში განხილული საკითხების - ინგლისური ენის ურთიერთობა ადგილობრივ და ეთნიკურ უმცირესობათა ენებთან; მონოლინგვური იმპერიალისტური პოლიტიკა; უმცირესობათა უფლებებისათვის მებრძოლი მოძრაობები და მათი მიღწევები - ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ თანამედროვე ინგლისურენოვან შიდა წრის ქვეყნებში მოხდა მონოლინგვური პოლიტიკის მკვეთრი ცვლილება, რომელიც ჩაანაცვლა მულტილინგვურმა პოლიტიკამ. აღნიშნულ პოლიტიკას მხარს უჭერს ამ ქვეყნების მთავრობები და მათ განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტები.

დასკვნის სახით გამოიყო შიდა წრის ქვეყნების მულტილინგვური საზოგადოების უპირატესობის სამი მხარე: 1) ადგილობრივი თვითმყოფადი ენების და კულტურის შენარჩუნება და დაცვა, 2) მისი პოპულარიზაცია შიდა წრის ქვეყნების ინგლისურენოვან უმრავლესობაში 3) მულტილინგვიზმის ეკონომიკური და კულტურული სარგებლიანობა გარე სამყაროსთან ურთიერთობაში.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მონოლინგვიზმი, მულტილინგვიზმი, შიდა წრე, გარე წრე, გაფართოების წრე.

## Abstract

The present work is devoted to the study of monolingual and multilingual politics in the inner circle countries of the English-speaking world. According to Indian linguist B Kachru the term inner circle refers to the countries ( the UK, Ireland, Canada, the USA, Australia and Aotearoa/New Zealand) where English is the native language of the majority.

The paper is a descriptive work which shows the historical formation process of the linguistic diversity of the inner circle countries. The main goal is achieved with diachronic and synchronic methodological analysis on the bases of contemporary linguistic theories and with the help of statistics.

The main aim of the work it to show that the myth of monolingualism does not exist anymore and some historical, political, economical and technological changes mage multilingualism an ordinary lifestyle in the XXI century.

The paper consists of two parts. The issues raised in the first part such as, the relationship of the English language with the indigenous and minority languages; monolingual imperial politics; movements to protect the rights of ethnical minorities and their languages and their achievement allows us claim that there is a dramatic shift from monolingual politics to the multilingual one in the contemporary inner circle countries which is encouraged by the governments and regulated by the proper juridical documents.

In the conclusion we underlined three main benefits of multilingual society in the inner circle countries: 1) the maintenance and protection of the indigenous languages and cultures; 2) the popularization of above mentioned languages and the enhancement of the cultural viewpoint of the majority; and 3) the cultural and economic benefits of the multilingualism in the cooperation with the outer world.

**Key Words:** monolingualism, multilingualism, inner circle, outer circle, expanding circle.